

მწერლისი



ზე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი დაპსვეოს ცხოვართავის. იოან. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტყირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 21

1883—1903

15 ნოემბერი

მწარმე ფირჩები.

ერთ ადგილის თავისი მღვდელ-მთავრის ოცდა-ათი წლის სამსახურის შესრულების დროის დღესასწაულობა განიზრახეს. დამზადეს აღრესი, გამზადეს სადილი, მოიყარეს თავი, წარსდგენ თავის მღვდლ-მთავრის წინაშე და ერთმა მათგანმა დაიწყო სამღვდელოების მინდობილებით მისართმევი აღრესის კითხვა. შემდეგ სხვა-და-სხვა ადგილზე მღვდელ-მთავრის მსახურებისა დაახასიათეს უკანასკნელი მისი სამსახური ამნაირად: „თქვენ მოწყალეო, მღვდელთ-მთავარო, ნიადაგ ჩვენზე ფიქრობთ და არ დასცხრებით ჩვენ კეთილ-დღეობისათვის ზრუნვად, თქვენ ბრძანდებით მწუხარეთა ნუგეშინის მცემელი, მშიერთა გამომზრდელი, შიშველთა სამმოსელი, სნეულთა მკურნალი, გზა დანეულთა ჭეშმარიტი გზის

მაჩვენ ებელი, ობოლოზ მამა და მზრუნველი და სხვა.“ ერთი სიტყვით, რაც ლოცვაში დაუჯღომლის ლოცვებში სიტყვებია ნახმარი ღვთის-მშობლის საღიღებლად ყველა თავის მღვდელთ-მთავრისთვის მიეწერათ. მღვდელთ-მთავარს ეწყინა და მაღლობის მაგიერ ღილი საყვედური უთხრა სამღვდელოებას. „თქვენ, ბრძანა მათმა მეუფებამ, იმდენი რამე მოგიწერით ჩემთვის, რომელნიც მე არც-კი მიღიქრია, არა თუ საქმით ამესრულებიოს. საყვედურს გიცხა-დებთ, რომ მე დაუმსახურებლად მომაწერეთ ის რაც მე არ მეუფების და რომ კიდევ შემესრულებინოს ყველა ჩამოთვლილი კეთილი საქმინი თქვენ არ უნდა გექეთ და გეღიდებინეთ, რადგან ყოველი კეთილი საქმე მხოლოდ მაშინ ჩაეთვლება ღვაწლად კაცს თუ იგი დარჩა საიდუმლოდ და ამისთანა საიდუმლო კეთილ საქმისათვის მიაგებს ლმერთი ფარულად მხედველი ყოველი კაცის საქმისა.



როგორ დაივიწყეთ მაცხოვრის სიტყვები, რომელიც ბრძანებს: „ეკრძალენით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა ორა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქვს მამისა თქვენისაგან ზეცათასა...“

ხოლო რაფას იქმოდე ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ჰყიან შესაკრებელთა მათდა და უბანთა ზედა, რათა იდილნენ კაცთაგან. ამინ გეტყვი თქვენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი...

ხოლო შენ რა უამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ ჰსუნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი.

რათა იყოს ქველი საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰქედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

„მე თქვენ, მამანო, განაგრძო მღვდელთ-მთავარმა, პატივს კი არა მცემთ ასეთი ქებითა და დიდებითა, არამედ მაუგებთ და ჩემს ლირსებას ამდაბლებთ. წადით და ხშირად იკითხეთ ხოლმე სახარება და ყოველი ლონის ძიებით ეყადეთ, რომ აასრულოთ ხოლმე ცხოვრებაში სახარების სიტყვები“. ქეშმარიტად საგულისხმოა მღვდელთ-მთავრის სიტყვები ზოგიერთებისთვის, როდესაც ასე გავრცელებულა პირფერობა მცბიერობა და ფარისევლობა... ეს სიტყვები უმეტესად საგულისხმოა ზოგიერთ ეპარქიალურ გამოცემათა რედაქტორებისათვის, რომელიც უმეტეს ნაწილად თავიანთ მეუფროსეთა ქება-დიდებაზე სწერენ და ჰქადაგებენ...“

* *

1895 წელს „მწყემსი-“ს რედაქტორ საქვეწოთ გამოაცხადა რომ იგი სიამოვნებით დაუთმობს აღგილს „მწყემს-“ში“ ყოველ ცნობებს, რომელნიც შექებიან ყ-დ სამღვდელო გაბრიელის ცხოვრებას და მის მოღვაწეობას. შემდეგ ამისთანა ცნობების შეკრებისა, რასაკვირველია, აღვილად შესაძლებელი იქნებოდა ვრცელი ბიოგრიფის შედგენაც ამ შესანიშავი მღვდელთ-მთავრისა. სამწუხაროდ ძლიერ ცოტა ცნობები არის ჯერეთ დაბეჭდილი განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ცხოვრებაზე. თუმცა რედაქტორს აქვს კიდევ მრავალი ცნობები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს-დღეობით კიდევ არ ხერხდება მათი ბეჭდვა რედაქტორს დამოუკიდებელ მიზეზებთა-გამო.

დღეს მამა მელიტონ კელენჯერიძე აცხადეს საქვეწოდ ამავე საგნის შესახებ და მოუწოდებს მღვდელებს და მედავითნებებს მიაწოდონ რაც გაუგონიათ და რაც იციან ყ-დ სამღვდელო გაბრიელზე. ამასთან მიმართავს ყველას და ამბობს: „ჩვენ, ქართველებს, საზოგადოდ ერთი საგრძნობელი და სამარცხვინო უსამართლოება გვშირს: ჯერ ხეირიანი საზოგადო მოღვაწე და ნიჭირი კაცი სანთლით საძებარია ჩვენში და მერმეთ, კიდევ რომ დაგვებადოს ასეთი პირი და ნიჭიც და მამულის შვილობა გამოიჩინოს, ჩვენ მაინც არ ვიცით ლირსეული დაფასება ასეთის მოღვაწისა. ნაცვლად ამისა, სიცოცხლეში ხელს ვუშლით, მოსვენებას არ ვაძლევთ, კეთილ გზაზე ველობებით, მტრობასა და შურს არ ვაკლებთ და როდესაც, საქმე გაჭირებული, ცივს სამარეში ჩავა, საფლავზე თუ ვიტყვით ორიოდე ცივს სიტყვას, ქვეწნის შესხედავად, თორემ, რაკი მიწას მიეაბარებთ, სრულიად დავიწყებას ვაძლევთ. ამიტომა, რომ არც ერთს ჩვენ ხეირიანი მამული-შვილზე ჩვენს მწერლობაში არ მოგვეპოება ხეირიანი გამოკვლევა, რის გამოც ძალიან ბუნდი წარმოდგენა გვაქვს მათს ცხოვრებაზე, ნაწერებზე და საზოგადო მოღვაწეობაზე.“

„სხვათა შორის ასე მოვექეტით ჩვენ განსვენებულს გაბრიელ ეპისკოპოსსაც. მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს სამღვდელოებაში სასულიერო ფართო ნიადაგზე აღმოგვიცენა ეს ერთი ბრწყინვალე პირი — გაბრიელი — დიადი კკუით, სპეტაკი ცხოვრებით, ადამანტი გულით, მნათობი ჩვენი ეკლესიისა. მაგრამ ეს შვენიერება ერისა, ქება და დიდება მმულისა ჯერ უდროვოდ დავაბერეთ, ათას-გვარი მტრობით და შურით სიცოცხლე შეუმოკლეთ და შემდეგ სიკვდილისა თითქმის სრულიად მივივიწყეთ“. დიალ, მართალს ბრძანებს მამა მელიტონ კელენჯერიძე? ჩვენში ძლიერ დახელოვნებული არიან მღვდელთ-მთავრებზე დაბეზღებითი წერილების გზავნას, განსაკუთრებით ის პირები, რომელთაც სურთ პატივის ცემა და უურადღება დაიმსახურონ ზოგიერთი პირებისა.

ამ ბეზღებითი წერილებით ისინი უზრუნველ-ყოფილნი არიან და დიდ დახმარებას და შემწეობას მოელიან როცა ერთი ადგილიდან მერჩეზე გადაცოცდებიან ხოლმე. უბედურება ის არის, რომ ეს მაბეზღარნი ის პირები ბრძანდებიან, რო-

მელნიც საზოგადოებას „პატრიოტებად“ და მოლვაშებად ეჩვენებიან!..

წინეთ ამისთანა ბეჭდებითი წერილები იწერებოდა უკოდინარ, გაუნათლებელ და სულ მოკლე კაცთაგან. დღეს-კი, ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, დაბეჭდებითი ეპისტოლებს სწერენ დიპლომიანები!..

მართალს ბრძანებს აგრეთვე მამა მელიტონ კელენჯერიდე იმას, რომ შემდეგ სიკვდილისა ზოგიერთი პირები სრულებით მიივიწყებენ მოლვაშე პირთა. იმ დროს როცა მათ იხსენიებენ ყველანი, როცა განსვენებულის საფლავზე იქრიბებიან, მოიგონებენ განსვენებულს ტირილით და გლოვით, ცრუ და ფარისეველნი პატრიოტნი სრულებით ივიწყებენ მათ და სხვათა ტირილისა და მწუხარების დროს ისინი დროს ატარებენ და ცუნდრუკობენ. აი დამატებიც გელათის მონასტერში შესრულდა ყ-დ სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად წირვა. ამ დღეს დასდგეს და აკურთხეს ჩინებული ძეგლი, რომელიც აუგეს მათი მეუფების პატივს მცემელთა და ნ. ესა-ვთა. ეს ძეგლი დღეს გელათის ეკლესიას ამშვენებს და ყველას მოაგონებს ძვირფას მღვდლთ-მთავარს. ამ დღეს მათმა მეუფებამ პანაშვიდის წინ წარმოს-თქვა მეტის-მეტად მგრძნობიარე სიტყვა, რომელმა-ნაც მრავალი აატირა ეკლესიაში. ჩვენ ვათვალიერებდით ზოგიერთ ჩვენ „პატრიოტებს“, მეგონა, რომ ისინიც მოვიდოდნენ, პატივს სცემდნენ ძვირფასი მღვდელთ-მთავრის ხსენებას. მაგრამ ეს ჩვენი „პატრიოტები“ ღვთისგან კურთხეულ ქვათათის ქალაქში ოქროს ვარაუით დაბეჭდილს შემდეგ ეფის-ტოლებს აგზავნიდნენ. «საყარელნო ნათესავნო და მეგობარნო! მიმდინარე წლის 4 თებერვალს დღით დაურწყებას უსრულდება ოცი წელი დაბალებიდან ჩემს საყვარელს მეუღლეს თლიდა თ—ის ასულს. ჩვენ ვალდებულად ვსთვლით ჩვენს თავს განსხვავებული მხიარულებით შევეგებოთ ამ დღეს. მოიმედენი თქვენი სრული თანაგრძნობისა იმედი გვაქვს მობრძანდებით ჩვენს ოჯახში და დროებას გაატარებთ“... როგორ მოგწონთ, მკითხველო? იუბილეი გაგვიგონია 25 და 50 წლის სამსახურის შესრულებისა! მაგრამ არსად არ გაგვიგონია, რომ ოცი წლის შესრულება დაბალებიდამ ცოლისა ედღესასწაულებიოსთ. ვისაც ბევრი ფულები აქვს ცოლის

დღეობას წელიწადში ორჯერ და ექვსჯერაც-კი გადინდის, ვის შეუძლია ამის წინააღმდეგ კრინტი და-სძრას, მაგრავ საწყენი ის არის, რომ დროების გატარება და ქეთვობა სრულდება იმ დღეს და იმ დროს როცა გლოვის დღეა მრავალთაოვის რომელიმე განსვენებული პატივცემული მოღვაწე პირთა გამო. აი, სწორეთ „მივიწყებაც“ ამას ქვია!.. დიალ, მეტის-მეტი ცუდი დრო დაგვიდგა. ისე აჭრელდა ჩვენი ინტელიგენცია, რომ ნამდვილ კაცებს ვეღარ ვსუნობთ, რაღაც სიტყვით ერთს ამბობენ საქმით სხვას ჩადიან, ოეთრს შავათ გიმტკიცებენ, შავს თეთრად. საზოგადოებაც ცხვრის ბრძოსავით განუსჯელად ეთაყვანებიან და საზოგადოებაში „პატრიოტებად მიაჩინათ მაბეჭდართნი და უკულმართნი!..“

* *

მე და ერთი სტუდენტი უნივერსიტეტის მეოთხე კურსის მატემატიკის კურსისა მივემზავრებოდით პეტერბურლისაკენ. ორი-სამი დღე და ღამე ერთად მივდიოდით. მეოთხე დღეს ჩვენთან შემოვიდა ვაგონში ერთი ახალგაზღა თფიცერი, რომელსაც ამ წელში მიეღო აფიცირობა. ერთმა ვილაცა მგზავრმა ჩამოაგდო ლაპარაკი ლ. ნ. ტოლსტოიზე და დაუწყო მას ქება და დიღება. მათ მიემხრო ჩემთან მოგზაური სტუდენტიც. აფიცერმა სოქვა: მეც ტოლსტოის თაყვანის მცემელი ვარო და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხდა, ჩემმა უმფროსმა არ გაიგონოსო, ისე რაღაცა შიშით წარმოსთქვა ეს სიტყვები. შეერთდენ სამი ოთხი მოგზაურნი და დაიწყეს მსჯელობა ღვთის მეტუველებაზე, სახარებაზე და სარწმუნოებაზე. მათი მსჯელობა სასაცინო იყო. ერთმა მათვანმა მითხრა:

— მამაო, ეშმაკები და ანგელოზები არიან შევყანაზე? კაცი რომ მოკვდება დარჩება რამე იმის კიდევ? მითხრა ერთმა მათვანმა.

— გთხოვთ შემატყობინოთ, უთხარი მე, რომელ სემინარიაში და აკადემიაში გისწავლიათ თქვენ?

— მე უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გახლავარ, მითხრა ერთმა, მე პროფიზორი გახლავარ მითხრა მეორემ, მე კალეტის კორპუსში ნასწავლი გახლავართ. წარმოსთქვა მესამემ.

— თქვენთან დაობა და ბაასი არ შეიძლება, უთხარი მე. თქვენ არც ერთს არ გისწავლიათ ის საგნები, რომელზედაც დაობა გინდათ. როგორ შევიძლიათ თქვენ ვარსკვლავთ მრიცხველთან, ექიმთან და ღვთის-მეტყველთან დაობა გასწიოთ?.. ისწავლეთ ჯერეთ ეს საგნები და მერე გებაასებით.



თქვენ სცდებით ისე, როგორც თვითონ ტოლსტოი სცდება როცა ღვთის მეტყველებაზე დაიწყებს ხოლმე მსჯელობას.

როცა კაცი დაგიწყებსთ დაობას და მსჯელობას იმისთანა საგნებზე, რომელიც მას ორ უსწავლიათ სასაცინოდ აიგდებენ მას, მაგრამ როცა ვინმე გედავება და გებაასება სასულიერო საგნებზე და სარწმუნოებაზე ყოვლად უფიცი საღმრთო წერილისა და ღვთის-მეტყველებისა ეს ზოგიერთებს შესაძლებლად მიაჩნიათ!.. სწორეთ სასაცინოდ მიმაჩნია, ბატონებო, თქვენი კითხვა ეშმაკების და ანგელოზების არსებობაზე! რა უნდა გითხრა თქვენ? ჩემს მოკამათეებს საწყენად დაურჩა ჩვენი სიტყვა და ბრძანეს. როგორ არ გვისწავლია? ჩვენ სრულებით გავიარეთ საღმრთო სჯული, რომელსაც გვასწავლიდა მღვდელი და ყველაფერი ვიცით მისგან!!.. აბა მიბრძანეთ, რომელმა საღმრთო-სჯულის მასწავლებელმა გამოგიცხადათ ის რასაც თქვენ ბრძანებთ? ჩვენი მოსაუბრენი ცოტა ხანს შეჩერდენ და ბოლოს დაიწყეს: ჩვენ, რა-საკიორველია, ვერწმუნებით ტოლსტოის და რენანს და იმას რასაც ისინი ამტკიცებენ ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია... დიდი, თქვენ სხვას ერწმუნებით თორემ საღმრთო საგნები არ გისწავლიათ, ეს არის თქვენი დიდი შეცდომა და ამისთანა კაცებთან და-ობა არ ლირს, უთხრით ჩვენ. მართლაც წყლის ნაყვაა ამისთანა კაცებთან დაობა სარწმუნოების საგნების შესახებ...

ესევე შეიძლება სთქვას კაცმა „ცნ. ფურულის“ სიტყვაზე. ბ. სიტყვა სიტყვავობს მარტო და საქმის არა გაეგება-რა. ან-კი საიდან უნდა გაიგოს. სასულიერო წოდებაზე და სასულიერო საგნებზე მსჯელობს როცა ამ სასულიერო საგნების მას არა გაეგება-რა. სასულიერო სასწავლებელში სადაც სასულიერო საგნებს ასწავლიან, ის არყოფილა და „ცნობის ფურულის“ რედაქციაში საიდან შეისწავლიდა ამ საგნებს. იმის ყოველ მსჯელობიდან ცხადად ხედავთ, რომ ის ქადაგად გამხდარა და არავინ არა სწამს ვინც მესამე დასელათ არ გამხდარა. სწამს მაცხოვარი, მოციქულები, სამღვდელოება, წმინდანები, ახალი და ძველი თუ მესამე დასს ეკუთვნიან. მღვდელმა, რომ დამარხევისათვის სამი მანეთი გამოართვას ვინმეს, იყვირებს: გლეხებს ჩაგრავენ და ცარცვენო და როცა გლეხი ქელებზე და დღეობაზე ვალში ვარდება, ეს არაფერია. მსგავსად ალექსი

ბერისა ჩვენც შეუნდობთ ბ. „ცნობის ფურულის“ სიტყვას მის შეცოდებათა, რომელიც მას შოსდის უვიცობით, გაუგებრობით და გამოუცდელობით. იმედია გამოცდილების შემდეგ მისი სიტყვა მარტო ფელეტონის ლიტონი სიტყვის გასამრავლებლად კი ორ იქნება დაწერილი არამედ საქმისათვის, რომელიც, სამწუხაროდ მის ნაწერებში ხშირად არა სჩანს.

სოფლის ხუცესი.



სამეზრელოის სამღვდელოების დეპუტატთა ძრება.

23 ნოემბერს საღამოს სამეგრელოის სამღვდელოება შეიკრიბა სასწავლებლის შენობაში აღსარჩევად კრების თავმჯდომარისა. თავმჯდომარედ ისევ ერთხმად მ. რაჟდენ ჭალაგანიძე აღირჩიეს. 24 დღით 8 საათზედ გაიხსნა კრება, კრებას დაესწრო 26 დეკემბერი. განსახილველი საგნები იყო: დამტკიცება სასწავლებლის შემოსავალ-გასავლისა მომავალ 1904 წლისა, მიმატება შენობისა, მონაწილეობის მიღება ქუთაისის სემინარიასთან და არსებულის მობის საქმეში და სხ. კრებამ მიიღო სასწავლებლის სამართველოსაგან წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ ცოტაოდენის შეცვლით. შენობის მომატების და ძმობაში მონაწილეობის მიღების საქმე გადაიდო მომავალ წლისათვის. სასწავლებლის საქმეების განხილვის შემდეგ, აღიძრა ლაპარაკი შესახებ სანთლის ქარხნისა, რომელიც სამღვდელოებამ არც კი იცის როგორ მოქმედებს ეს ქარხნა, ვისი საკუთრებაა და ანუ რა მდგომარეობაშია იგი. აგრეთვე სამღვდელოებას ქონდა მსჯელობა იმ შენობების შესახებ, რომელიც ყ-დ სამღვდელო გრიგორიმ თავის ვალში გადასცა მეგრელის სამღვდელოებას. იმ ანგარიშში, რომელიც კრების წინეთ დაურიგა ქარხნის მართველმა მ. თოხაძემ, სამღვდელოებამ ვერ ნახა სასულიერები და სწორი ანგარიში და იჭვის თვალით შეხედეს მას. ამისთვის კრებამ დაადგინა, ეთხოვთ ყ-დ სამღვდელო ალექსანდრეს, ვინაიდგან სანთლის ქარხნის საქმე შეეხება გურიის სამღვდელოებასც, დაინიშნოს ახლო მომავალში მრთელი ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, განსახილველად



სანთლის ქარხნის მდგომარეობისა და წარმოებისა. საკვირველია ღმერთმანი, რომ სანთლის ქარხნის საქმე, ასეთ დიდი ეპარქიაში, როგორიცაა გურია-სამეგრელოისა, არ მიღიოდეს რიგიანად და არ რჩებოდეს ბლობად მოგება, მაშინ როდესაც სხვაგან სანთლის ქარხნის შემოსავალი დიდია. იმედია სან-თლის ქარხნის საქმე ეხლა მაინც დადგება რიგიან ნიადაგზე.

ამასთანავე კრებამ დაადგინა: ის შენობები, რომელიც ყ-დ სამდვდელო გრიგორიმ გადასცა სამდვდელოებას, დღიული ვე გადაეცეს სასწავლებლის სამართველოს, მით რომ ამათგან შემოსული ფული მიჩნილ იქნას როგორც ერთი წყარო შესანახად სასწავლებლისა. ამავე კრებაზედ კერძოთ სამდვდელოებას ქონდა მსჯელობა ქართული ენის შესახებ. სამდვდელოების კრება დაიხურა 25 ოქტომბერს. სასწავლებლის ზედამხედველმა ოფიციალურად მოსწერა კრების თავმჯდომარეს, რომ უურნალი თანახმად უწმიდესის სინოდის უქაზისა 17 იანვრიდან 1901 წ. 10 №-ით, წარედგინა დასამტკიცებლად მაღალ ყ-დ უსამდვდელოების ეგზარხოსისთვის, მაგრამ თავმჯდომარემ უურნალი თვით სამართველოს გადასცა გასაგზავნად საღაც ჯერ არს. ესეც პირველი მაგალითია.

ერთი დეპუტატთაგანი.



მიზანები კაცის მრავალ უბანდურებათა.

(ნათარ. ფრიდრიხ კირხნერის წიგნიდან „გზა ბედნიერებისაკენ“)

(გაგრძელება*)

რაოდენიმე სიტყვა მსოფლიო (საუფლება) მჯუნვარებისა გამო.

შეუძლებელია ჯეროვნად აიწონ-დაიშონოს, დაფასდეს დედის გავლენა შვილზე. სიტყვებს, დარიგებებს და უფაქცევას დედისას ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლის პირველ წლებში, როდესაც ბავშვის ჭკუა-გონება ჯერ ისევ ნორჩია და ადვილად იღებს, ითვისებს გარეშე შთა-

ბეჭდილებებსა. „ბავშვი მამა ადამიანისა“ (გიორგი). ბავშვობა ახასიათებს ადამიანს, როგორც დილა—დღესა. მთელს ჩვენის შემდეგი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენ იმდენ შთაბეჭდილებას და სწავლა-ცოდნას არ ვითვისებთ, რამდენსაც ვითვისებთ პირველ სამ წელში. გრძნობები, რომლებითაც ჩვენის ნების მიუხედავად არიან წყაროდ სიამოვნებისა ან უბედურებისა, მოსაზრებები, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენს მოქმედებებში,—ყოველივე ესე ხშირად დედის-მიერ გვაქვს ჩაგონებული. როგორც ასოები ნორჩი ხის ლეროზე ამოკრილნი, ხესთან ერთად იზრდებიან და არასოდეს არ წაიშლებიან, ისე ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი არ ამოიფხვრებიან, არ ამოიშლებიან. გრძნობები, ხასიათი, ტემპერამენტი, რაზედაც უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი ბედნიერება, ყმაწვილობაში დაბადებულ-შემუშავებულნი არიან. კაი დედა სჯობია რამდენსამე ათას მასწავლებელს სკოლისას ერთად აღებულს. რამდენადაც უკეთესი ზნე-ხასიათისაა და რამდენადაც უფრო განათლებულ-განვითარებულია დედა, იმდენად უფრო დიდად მოქმედობს ბავშვის კეთილ-წარმატებასა და გაუმჯობესებაზე. იზრუნველ, სოჭვა ნაპალეონშა: დედების განგარებებისა და გაუკესების შესახებ, რათ მათ შეეძლოთ თავისი შეიღების დირსეულად აღზრდა. დედედა-კაცი ნუ თამაშობს რაიმე როლს ნურც პოლიტიკაში, ნურც ეკკლესიის მართვა-გამგეობაში, ნურც საზოგადოებრივ ცხოვრებაში (დღემდის მაინცა), დედ, მათგან ჯერ ნურავინ განუქმულა ბუნების-მეტყველებასა და საზოგადოდ მეცნიერნბაში, დედ, ნურც-ერთს მათგანს დღვევანდლამდე ნუ შეექნას რაიმე მსგავსი ბელვედერის პოლლონისა, სიქსტინის მადონისა, ფაუსტისა,—მათ შეუძლიანთ თავი მოიწონონ იმით, რომ პშობეს და აღზარდეს შემქმნელნი ამ ნაწარმოქმნა. ყველა გამოჩენილი კაცები ერთხმად იღიარებენ, რომ მათგან დედას დიდი გავლენა ჰქონია, რომ მათ ბევრი კაი ზე და მისწრაფება დედისაგან შეუთვისებით. ნეტარი ავგუსტინე, მოძღვარი დასავლეთის ეკკლესიისა კეთილ გზაზედ დააბრუნა ღრმა სიყვარულმა, მოთმინებამ და უულწრფელობამ მისი დედის მონიკისამ. ვალტერ-სკოტის ძლიერ უყვარდა ბალლადები, გიორგის კიდე—ლექსების ოხზვა და ორივენი ამ თვისებებს დედის გავლენას აწერდნენ. ნაპოლეონი ამბობდა ხოლმე: „მე ენერგია, ხასიათის სიმტკიცე

*) იხ. „მწევმის“ № 20.



და მორჩილება დედისაგან „შევითვისეო“ . დე-მესტრი ქება-დიდებას უქასხავს კეთილ-შობილურ ხასიათს თავის დედისას და უწოდებს მას „ანგელოზად, რო-მელსაც ღმერთმა მისცა სხეული მხოლოდ მცირე დროისთვის“. სამუელ დუონსონი დიდის მოწიწებით მოიხსენებს თავისს მოხუც დედას; მის უპირველეს საზრუნველს შეადგენდა მოეწყო მოხუცი დედის ბედნიერი ცხოვრება. კრომველის, ვაშინგტონის, ბისმარკის, შილდერის, ბულგერის, შეფორის და მიშლეს დედებმა განავითარეს თავისს შვილებში სიყვარული ყოველის კეთილ-შობილური მისწრაფებისა. მეორე მხრივ განუვითარებელნი, დაბალი კუუისა და გრძნობების დედები ხშირად მიხეხნი არაა შვილების უბედურ სცი-ბედისა. ამას ნათლად ვხედავთ ბაირონის, ლაშკრის რეგრაბეს ცხოვრებიდან.

შემდეგ შოპენგაუერი იჩენს სრულს უვიცობას აღამიანის ბუნებისას, როდესაც სიბოროტეს და გრძნობის ტანჯვისას სხვისის უბედურებით (coextra-danie) ეგოიზმთან ერთად აღამიანის მოქმედებათა უმთავრეს სტიმულად (ძიულებად) აღიარებს. * სიბოროტე, საბედნიერო, მხოლოდ გამონაკლია, იშვიათი შემთხვევაა. სხვის უბედურებით ტანჯვის გრძნობაზე მაღლა დასაყვენებელია თანაგრძნობა და ენერგიული სიყვარული, რომელიც საჭმით დაეხმარება, შემწებას აღმოუჩენს გაჭირვებაში მყოფ მოყვასს.

დასასრულ ჩვენ სისულედედ მიგააჩნია ის აზრი, რომელიც უბედურებას პხედავს მასში, რომ ჩვენ განგებამ დაგვიწერა მთელის სიცოცხლის განმავლობაში ველვტოლეთ რასმესა. განა არსებობს რამდე ამაზე უკეთესი? ლტოლვილებაში იმალება წყარო უმაღლესი სიამოვნებისა. ლესინგი ჭეშმარიტების ძიებას მაზედ (ჭეშმარიტებაზე) მაღლა აყენებს. თვით შოპენგაუერივე აღწერს ძნელ ასატან გრძნობას, რომელიც წარმოსდგება ხანგრძლივი უსაშობისაგან. მზრუნველობასა და გაჭირვებაში ყოფნას ჩვენს თვალში ფასი ედება, და სიკვდილიც-კი მამულის (სამშობლოს) გულისთვის, იდეისთვის ან საყვარელი არსებისთვის, უესაძლოა სასიამოვნოდ გვეტვენებოდეს. ყოველივე ზემორე თქმულის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს აღვიაროთ, რომ მსოფლიო მჭმუნვარება ყოვლად უაზრო და უსაფუძვლოა. ამიტომ ჩვენ პატივისცემით ვეგებებით ნიცვეს ფილოსოფიას (მიუხედავთ მრავალ მისს ძირითად დებულებათა უსაფუძვლობასა), როგორც საჭირო და დასაბუთებულ რეაქციას წინა-

აღმდეგ პესიმიზმისა. ნიცვე საფუძვლიანად მსჯელობს როცა საუბრობს ცხოვრების მხიარული შეხედულების შესახებ (жизнерадостность).

უმაღლესი ბედნიერება.

უძველეს დროთაგან მოკიდებული ფილოსოფო-სები იმტვრევდნენ თავებს იმ საკითხის გადასაწყევ-ტად, ოუ რაში მდგომარეობს უმაღლესი ბედნიერება. რა უნდა ჩავთვალოთ უმაღლეს სიკეთე (благомъ), ე. ი. რა უფრო უკელაზე სასურველი, რის შედენაც-კი ნიშნავდეს შეძენას ყველა სხვა სიკეთეზე, ან უდრის ღეთანასწორება მათ,—ესე იგი, რა უნდა ჩავთვალოთ უმაღლეს სიკეთედ მისის მნიშვნელობისა და ფასის მიხედვით? არსებობს-კი ესეთი განძი?

ცხადია, რო არსებობს მთელი მწკრივი სიკე-ოთა, მათ შორის განირჩევან უმჯობესნი და უა-რესნი: სიცოცხლე უმჯობესია საჭმელზე, სხეული—ტანთ-საცმელზე; სასარგებლო რამ უფრო მაღლა დასაყენებელია, ვიდრე სასიამოვნო და გარეგანი სიმშვენიერე; ზნეობრივი თვისებები ყოველ ამს აღემატება. ამ სახით ჩვენ უახლოვდებით მცნებას თუ რა არის საზოგადოდ სიკეთე.

რა არის სიკეთე? ცხადია ის, რასაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაწერთ, რაც წყაროა ჩვენის სიამო-ვნებისა აწმობში, წარსულში და რაც ჩვენის ფიქ-რით შეიქმნება წყაროთ ჩვენის ბედნიერებისა მომა-ვალში, რაც აღატროთვანებს ჩვენს მოქმედებას, ამაღლებს და გააფაქიზებს ჩვენს გრძნობებს.

არსებობს ოთხ-გვარი, აღამიანის დამატებობი, სიამოვნება, ოთხ გვარი ბედნიერება. მასაწინი რო (პრიათიე) დაატებობს აღამიანს გრძნობების საშუა-ლებით; რაღანაც ეს სიამოვნება დაფუძნებულია აღამიანის ფიზიკურს ბუნებაზე, ამიტომ იგი სრუ-ლიად სუბიექტიურია, ე. ი., უესაძლოა, რომ ის, რაც მოსწონს და ესიამოვნება ერთსა, არამც თუ არ მოეშონს, არ ესიამოვნოს მეორეს, არამედ სრულიად წინააღმდეგი გრძნობაც გამოიწვიოს; სხვა-და-სხვა კაცს სხვა-და-სხვა გემოვნება აქვს, როგორც იტყვიან რუსები ი ეკუსახს ნე ციორეთ. სისარგებლო რამ, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან ჩვენს მიზანს მივაღწიოთ, ჩვენის სიამოვნების წყაროთ ხდება; მაგრამ აქაც სხვა-და-სხვა საზომი იხმარება, იგიც სუბიექტიურია: მაგ., დანა ერთის საქმისთვის

გამოსადეგი შეიქმნება სხვა შემთხვევაში სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს; შხამიც-კი კარგია, როდესაც იგი სწრაფად უსპობს ადამიანს სიცოცხლეს. მშენები ანუ ესტეტიურად სასიამოვნო შეიძლება იყოს სუბიექტიურიცა და ობიექტიურიცა; სუბიექტიურია, რაღანაც შეეხება გარეგან გრძნობებს (თვალს, ყურს); ობიექტიურია, რაღანაც გამოშხატავს ამა თუ იმ იდეას (დედა-აზრს). ზნეობრივ კარგი სრულიად ობიექტიურია: უწყებული გემრიელი ნაყოფი ჩემთვის ურგისია, თუ აკრძალულია; შხამი სასარგებლობა ხოლმე, მაგრამ იგი არ ვარგა, თუ მე მით ვკლავ ვისმეს; ის სურათი მშვენივრათ ნახატია, მაგრამ შინაარსით-კი არ ვარგა—შეუსაბამოა, ზნეობრივი გრძნობის აღმაშფოთებელია. ზნეობრივი მოქმედება იქნება არც გესიამოვნებოდეს, არც სასარგებლო იყოს, არც ესტეტიური გრძნობის მოხიბლვა შეეძლოს, მაგრამ იგი ეთანხმება ზნეობრივ კანონს და ამიტომ გამოიწვევს საზოგადო თანაგრძნობას, მოწონებას (იდიონენიე) და ღრმა პატივისცემას მისდამი, ვინც შეასრულა იგი. ზნეობრივი კარგი (სიკეთე) მაშასადამე არის ის, რასაც ადამიანი იძნეს შეგნებულად და არა იძულებით, ე. ი., თავისუფლად, თანახმად მის ბუნებაში დანერგილი იდეალისა. თუ ადამიანს სხეული მშვენიერი მოყვანილობისა აქვს, თუ იგი ბუნებით ჭირიანი, გონიერი და მშვენიერის ხასიათისაა—ეს მისი უნარი არ არის. მხოლოდ იმ შემთხვევაშია იგი ღირსი ქება-დიდებისა და პატივისცემისა, თუ მას ეს თვისებები თვითონ შეუძენია და განუვითარებია. ზნეობრივი მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ უანგარი, ზნეობრივ შეიძლა მოსაზრებათაგან, კეთილი მიზნით და უმშივვლო საშუალებათა ხმარებით.

6. ჩ.—პ.

(შემდეგი იქნება)



სასაგართლოს გატივისი

შოთაიცვეისტრის გასამართლება.

1 ნოემბერს ტფილისის სასამართლო პალატის სესიამ გაარჩია საქმე ქუთაისის პოლიცემისტრის ლისოვსკისა. იმდენ საზოგადოებას მოეყარა თავი, რომ ვებერთელა დარბაზში ტევა აღარ იყო. თავმჯდომარეობდა ვრასკი. წევრებად იყვნენ გეგიძე და ორლოვსკი, ბრალსა სდებდა შულცი, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვეგილი შევალი. ქუთაისის პოლიცემისტერს ბ-ნ ლისოვსკის, როგორც ოქმიდანა სჩანს, პბრალდებოდა შემდეგი: ა) 26 ოქტომბერს 1902 წელს აზნაურის ივლიანე მესხის შეპყრობის დროს პოლიცემისტერს უმიზებზოდ უცემნია იმისთვის, შემდეგ თოკით შეუკვრევინებია და თავ-შიშველა ახალუხის ამარა გაუგზავნია საპყრობილები. ბ) ამ შეპყრობის დროს შეურაცხებულა მიუყენებია პოლიციის უბნის ზედამხედველის საყვარელიდისთვის შემდეგის სიტყვებით: „ყო ჯე თყ, ცერვა, ჩე სვაჟეშე ერ!“ და სხ. გ) შემდეგ, როდესაც მესხი საპყრობილები იჯდა, ლისოვსკის საპყრობილის უფროსის მაჰმუდ-ბეგისთვის სამსახურის ასრულების დროს სიტყვიერი შეურაცხებულა მუუყენებია. უთქვამს „ეშახ“-ო, „შორინიკად ნამყოფ“-ო და სხ.

ამ საქმის გამო ოცხე მეტი მ.აწამე იყო დაბარებული. საპყრობილის მოსამსახურებმა თითქმის ერთხმად აღიარეს ყველაფერი, რაშიაც ბ-ნ ლისოვსკის მაჰმუდ-ბეგის შეურაცხებულისათვის ბრალი ედებოდა. დანარჩენი მოწმეები შეიძლება არ ჯგუფად გაიყოს. ერთნი ამტკიცებლნენ: როდესაც პოლიცემისტერი უანდარმებითა და პოლიციელებით შეეიდა მესხის სახლში, იქ ვახშმად ისხდნენ. ბევირი მაშინვე ფეხს წამოდგა, ზოგიერთი-კი ისევ სუფრასთან დარჩა. პოლიცემისტერმა დაუყვირა იმათ, 『როგორა პბედავთ ჯდომას, როდესაც პოლიციის უფროსი თავზე გადგიათო』 და ერთს მჯდომთაგანს ჯოხი ჰქონა და თავიდან ქუდი გადააგდებინაო. შემდეგ გაჩხრიკეს ერთი ოთახი, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახეს. მეორე ოთახში ნახეს დაკეტილი კიდობანი. პოლიცემისტერმა მესხს გასაღები მოსთხოვა, მაგრამ მან უთხრა: „კიდობანი დედა-ჩემისაა და გასაღები იმასა აქვსო“. ამ დროს პოლიცემისტერმა მესხს სახეში გაარტყა და უბრძანა პოლიციელთ იმისი შეკვრა. ამასობაში მესხის დედას გამოართვეს გა-

სალები, გაჩერიკეს კიდობანი, მაგრამ შიგ ვერა იპოვეს-რა. შემდეგ მესხს ხელეხები თოკით უკან გაუკრეს და უბნის ზედამხედველმა და სამმა პოლიციელმა საპყრობილები წაიყვანესო. რამდენიმე მოწამემ ისიცა სოქვა, როდესაც მესხი ჩივილს უპირებდა პოლიციელისტერს, უკანასკნელმა კაცები მიუვზავნა მესხის ძმას და სოხოვა: შენმა ძმამ ჩივილს თავი დაანებოს; უარ-ჰყოს, რომ პოლიციელისტერმა ის გალახა და შეჰკრა; ამის მაგივრად განთავისუფლება ითხოვოს და პოლიციელისტერიც განაოვანისუფლებინებსო. სხვათა შორის, პოლიციელისტერის წინააღმდეგ ილაპარაკა პროკურორის ამხანაგმა ბ-ნმა მალინოვსკიმ და ორმა უანდარმა, რომელთაც მესხთან არა-კითარი დამოკიდებულება არა აქვთ. პოლიციელისტრის მხრით ჩვენება ჩამოართვეს: პოლიციის ბოჭაულს ტერ-ანტონოვი¹, უბნის ზედამხედველს საყვარელიძეს და რამდენსამე პოლიციელს. პირველმა, სხვათა შორის, სოქვა, რომ მესხისთვის პოლიციელისტერს არ უცემია. არც საყვარელიძისთვის „ცერვა“ უწოდებია; მართალია, ბაჭრით-კი შეაკვრევინა მესხი, მაგრამ ეს საჭირო იყო, რადგან ბნელი ლამე იყო და შეიძლებოდა გაქცეულიყო. თითქმის სიტყვა-სიტყვით განიმეორეს ეს დანარჩენებმაც, მხოლოდ ის-კი სოქვეს, მესხს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც გაქცევა დაუპირებით. როდესაც ამ მოწმეებს პირში წაუყენეს ორი უანდარმი, პირველნი სახტალ დარჩენან, მაგრამ თავიანთი სიტყვები მაინც არ გადასთავის.

ბრალმდებელი ბ-ნი შულცი თხოულობდა, პოლიციელების ჩვენებისათვის სასამართლოს არავითარი მნიშვნელობა არ მიეცა, რადგან ისინი ადგილის დაკარგვის შიშობენ და იმისთვის ღაბარაკობენ უფროსის სასარგებლოდათ. ღამნაშავედ სოვლიდა ბ-ნ ლისოვსკის ყველა ჩამოთვლილ მუხლებში და თხოულობდა იმის კანონიერად დასჯას. შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულის დამკველმა ბ-ნმა შევალიერ. იმან, პირიქით, ითხოვა, პოლიციელების ჩვენებას მეტი მნიშვნელობა მისცემოდა, ვიძრესხებისას. „მათ პირველ გამოძიებაზედაც ისე აჩვენეს, როგორც ეხლა, რე იმ დროს-კი პოლიციმებისტერი გადაყენებული იყო ადგილიდან და პოლიციელთ არავითარი ადგილის დაკარგვის შიში არ ექნებოდათ. იმ დროს არამც თუ მხარს დაუჭერდნენ პოლიციმებისტერს, კიდევ კიდებოდენ იმის დასჯასათ.“

რამდენისამე წამის შემდეგ თავეჯდომარემ გა-
მოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბანი ლისოვსკი
დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ორის კვი-
რით საპყრობილეში დაპატიმრება. (ივერია).

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

დეპტშამ პარიზიდან სასიხარულო ამბავი მოგვი-
ტანა. ექიმ მარმორეკს პარიზის სამკურნალო. აკა-
დემიისთვის უცნობებია, რომ ტუბერკულების წამა-
ლი გამოვიგონეო, თუ ეს ამბავი გამართლდა, ექიმი
მარმორეკი მთელ კაცობრიობის სათაყვანებელ კაცად
გადაიქცევა.

ალექსანდრე მარმორეკი ავსტრიელი ბაქტერიოლოგია. დღემდე პარიზში არსებულ პარტერის ინსტიტუტში მუშაობდა და ცნობილ მეცნიერთა რუს და მეჩენიკოვის მოსწავლედ ითვლებოდა. მარმორეკი წინააღმდეგ კარგად იცნობდნენ. ამ ეჭვისის წლის წინააღმდეგ შემზადა ერთგვარი შრატი, რომლითაც წითელ ქარიანებს არჩენენ და აგრეთვე ცხენებს ქოთაოსაგან. მარმორეკის თავის მოხსენება ჭლექის წამლის შესახებ პარიზის სამკურნალო აკადემიისთვის უნდა წაეკითხა 12 ნოემბერს, მაგრამ ვერ წაიკითხა ზემოსხენებულ მეცნიერთა, რუსა და მეჩენიკოვის, მიუზეზით. პასტერის ინსტიტუტში დაარსებილანვე წესადაა დადგებული, რომ თუ ინსტიტუტის წევრი ახალ რამეს აღმოაჩენს, ეს აღმოჩენა უნდა გასინჯოს და შეამოწმოს ინსტიტუტის დირექციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომგონს არ შეუძლიან, ინსტიტუტის სახელით ისარგებლოს და თავისი გამოგონება გააძლავნოს. ინსტიტუტი ასე იქცევა სიფრთხილის გულისთვის. ხშირად მეცნიერი სცდება, როგორც მაგალითად, კოხი შესცდა, ინსტიტუტს ეს არ უნდა და ამიტომ ყველა თავის წევრს ავალებს, გამოგონება წარუდგინოს გამომჟღავნებამდე შესამოწებლად. ასე მოექცა ინსტიტუტში დირექცია მარმორეკსაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა თავის გამოგონების შესამოწებლად გადაცემა და პირდაპირ სამკურნალო აკადემიას მიჰმართა. შედეგად ამ შეტაკებას კიდევ ის მოჰყვა, რომ მარმორეკმა პასტერის ინსტიტუტს სრულიად თავი მიანება.

შრატი უცდიათ პარიზის ზოგიერთ წამყურნა-
ლოში, ამას გარდა ბრესლაველი პროფესორი
მიკულიჩი ორი წელიწადია თურმე ჭლექიანებს არ-
ჩენს მარშორეების შრატით. ეხლა ეს პროფესორიც
აცხადებს, რომ ახალი შრატი უტყუარი და უებარი
წამალია ჭლექისათ. ("(გნ. ფურ:)"

მოძალადი.

ჩვენ სიცოცხლე განკებისგან
შისთვისა გვაქვს მოცემული,
რომ დიდების, დაღადების,
სათნაების—სცემდეს გული!

მისი ნებაც ესე არის,
რომ ჩვენ ჯანი არ დაშუროთ,
მოუგასთა და მტერთა-თვისაც
შროშის თველი მოვიწუროთ.

მაშა, ძმანი! მას შეუდგეთ
მდგინარებით შიგაშერთო,
და ამ წმიდა საგნისათვის
ვიღვაწოთ და ვიმსახუროთ.

და როდესაც დაწეწუ-ნადების
ნაეთვი რომ განცხოვდება—
დარწმუნდით რომ მის-მოდგაწის
სახელიც კი არ მოგვდება!

დღეს კვალი ქველის საქმის
გელეპტარად სხებს დახვდება—
შრომა და დაწეწუ-სხენ გიგურთხებს,
და ნასაქმით ამაღლდება!..

მაშინ უველა ჩანგ-მომართვით
მას შეამჭობს, ამდერდება,
„ვაშა-ვაშა“ ს გალაბითა
თვით მახრწილიც აღელდება!.

მაშ ამ ქებას, დაღადებას,
ნეტავ სხვა რა შეკრდება,—
როს სამშიბლოს მაღლიბის ხმა
ჩანგ-საუერითა დაიკვრება!

ადარც ითქმის ამ მოდგაწედ;
„მიწით ქმნილი მიწად ხდება, “
რადგან მისის დად-ქელობით
თვით სიცოცხლე იძადება!..

მაშა, ძმანი! შრომა ქველა!
წინმსრბოდი გზა მით გავგვალოთ;
მომეთა და სამშიბლოსა
მსხერწილათ გეგოთ, დავიგალოთ!.

რომომ—გურა.

შურალ-გაზოთებიდან.

პეტერბურგის გაზეთები საყურადღებო ამბავს
გვაუწყებენ: დაუსრულებით თავის მუშაობა ერო-
ბათა წარმომადგენლებს, რომელთაც მთავრობისაგან
დავალებული ჰქონდა, შიდა რუსთის გლეხთა გა-
ლარიბების მიზეზის გამოკვლევა და მათის გალო-
ნიერებისათვის საშუალებათა გამოძებნა. ერობათა
წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ თავის აზრის
გამოსათქმელიდ ამ კომისიაში, რომელიც სენებულ
საქმისათვის იყო დანიშნული, სტატს-სეკრეტრის
კოკოვცევის თავმჯდომარეობით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერობათა წარ-
მომადგენლებმა არ უღალატეს თავის ჩვეულებასა
და ფართოდ შეხედეს საქმეს: ნაკლები ყურადღება
მიაქციეს საკიოხის წვრიმალებს, ამა თუ იმ ტეხნი-
ურს საშუალებას და მტკიცედ დააყენეს სახელმწი-
ფოს შესახები საზოგადო საკითხები. მათის აზრით,
ყოველი პალიატიური ღონისძიება უნაყოფოდ
ჩაივლის, თუ საზოგადო ხსიათისა და ძირითადი
რეფორმები არ იქმნა მოხდენილი. ამის დასამტკი-
ცებლად მათ მიჰმართეს ისტორიას და ცხად ჰყვეს
მთავრობის სრული უძლურები საქმეში სწორედ
იმ მიზეზით, რომ განზრახვა იყო პალიატივებით
წამლობა დიდის სენისა. ვერც ლაშევის, ვერც
კონანოვის კომისიების პროექტებმა ვერ შეაჩერეს
გლეხთა გაღარიბება, ვერც უკანასკნელ წლების
ცდამ მოიტანა ნაყოფი, რაღაც ყველას ჰსურდა
საზოგადოებრივ-ეკონომიკურის status quo-ს დაცვა
და წვრიმალ ღონისძიებათა მიღებით საქმის გამო-
ბრუნება.

როგორც მკითხველებს ეხსომება, ამგვარივე
აზრი გამოსთქვეს სასოფლო-სამეურნეო საჭიროე-
ბათა სამაზრო კომიტეტებმაც; ამასვე იმეორებდა
წინად ერობა, მოწინავე პრესსა, მაგრამ ყოველივე
რჩებოდა „ხმად მღალადებლად უდაბნოსა შინა.“
ცხოვრება-კი დაისინებით ოხოულობს ამ მძიმე საქ-
მის გაღაწყვეტას; იგი არ იცდის; სინამდვილე არ-
ღვევს იმათ მოლოდინს, ვისაც ეგონა, იქნება იო-
ლას წავიდეთო, იქნება ურეფორმოთაც გამოკე-
დეს საქმეებიო... ბოლოს „საქმეთა მდგომარეობა“
მეტის-მეტად გამწვავდა და მთავრობამ კვლავ
მიჰმართა ერობასა და საზოგადოებას კითხვით
ერობამაც კვლავ მიუგო: ძირითადი ცვლილებაა

საჭირო.

თავის მოხსენებაში ერობათა წარმომადგენელი ღრ უმთავრეს ფაქტორს აქცევენ ყურადღებას. სოფლის იურიდიულ-საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ხალხის განათლების საქმეს. ორსავე საკითხში ისინი ეთანხმებიან ფინანსთა მინისტრად ნამყოფს ს. ი. ვიტტეს და იმეორებენ: სანამ სოფლის ხალხი მოკლებული იქმნება უფლებათ და სანამ სწავლა-განათლების საქმე დღევანდელს ყოფაში იქმნება, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი მეტი იქმნებათ. „სოფლის ცხოვრება მაშინ ჩადგება, ნორმალურს კალაპოტში, როდესაც აღვამალლებთ გლეხების პიროვნებას; როდესაც სრულიად და სამუდამოო მოისპობა გარჩევა «გლეხისა» და „კეთილშობილს“ შეა; როდესაც კანონი აღარ გაარჩევს გადასხადის გადამხდელსა და გადასახადებიდან თავისუფალ წოდებას; როდესაც გაუართოვებულ იქმნება გლეხის იურიდიული უფლებანი“, ერთის სიტყვით, როდესაც სრულიად შეიცვლება აწინდელი აღმინისტრატიულ-იურიდიული წესწყობილება სოფლისა.

ამ საზოგადო მოსაზრების შემდევ, ერობათა წარმომადგენლებს შეუძლებელ პროექტი იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა, რომელთა მიღებას საჭიროდ სოვლიან გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

*
როგორც უანგარიშიათ, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელზე დადებულ სადამოუნო გადასხადიდან მომავალ წელს ხაზინას 206 მილიონ მანეთამდე შემოუვა.

*
ქ. უფაში ამას წინად ნაფიციმა ვექილმა პოკროვსკიმ სასამართლოს შენობაში რევოლუციონ მოკეცილი თლექის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. აპესლიაკი და შემდევ თვითონაც თვი მოკეცილა. როგორც „ვოლესკი ვესტ“. გაღმოგვცემს, მიზეზი ამისა შემდევი ყოფილა: პოკროვსკი შენიშვნული ყოფილა და პოლიცია თვალყურს ადენებდა თურმე. პოკროვსკის მოუთხოვნია თლექის სასამართლოსაგან რაღაც შეამდგომლობისათვის საჭირო მოწმობა. თავმჯდომარეს მოწმობის მიცემაზე უარი უთქმაშ.

*
იაპონიის ხალხის ადელება რუსეთის წინადმდება.

*
„რეიტერის საგენტო“ს ტოკიოდან ამნაირი დეპეშა გაუგზავნია ინგლისურ გაზეთებისათვის:

„იაპონელ პოლიტიკოსთა წრეები და საქმის

მცოდნე კაცები ძლიერ ეჭვობენ, რო რუსეთ-იაპონიის დავა მანჯურიის თაობაზე მშეიღობიანიდ გადასწყდეს.

ჰუიქრობენ, თუ რუსეთი იაპონიის ყველა მოთხოვნილებას არ აასრულებს, მანჯურიის თაობაზე უსათუოდ ომი ასტყდებათ.

იაპონიის ხალხი უფრო და უფრო პლელდება რუსეთის წინადმდევ და გაბედულ პოლიტიკას თხოულობს. მთავრობა ვეღარას ხდება, ხალხს ვეღარ ამშეიღებს. ხალხმა ტოკიოში დიდი კრება მოახდინა და ერთ-ხმად დაადგინა, მანჯურიის საქმე, რაც შეიძლება, მალე უნდა გადასწყდეს, თორემ დაგვიანებით. დიდი ზარალი ეძლევა იაპონიის ეროვნულ ინტერესებსათ. ამ კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო“.

*
„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: » 1 ნოემბერი. „რეილი მეილ.“-ს სწერენ ტიანინიდან, ჩინეთის დიდებულთა საბჭოს მინდობილობით ჩილის პროვინციის მოაღილემ აღმირალ ალექსეევთან მოლაპარაკება გამართა. როგორც გავიგთ, მოლაპარაკებას კარგი არა მოჰყვარა ჩინეთისათვის. იგივე გაზეთი იუწყება, ჩინეთის ქარხნებსა და ფაბრიკებში დღე და ღამე მუშაობენ და სამხედრო მასალის ამზადებენ: იაპონიის ელჩი საიღუმლოდ ეთათბირა ჩან-ჩინ-ტუანსა და პრინც ჩინგსათ. »

*
შაჟედონიის საცოდავობა

„ტაიმს“-ის კორესპონდენციი იუწყება, მაკედონიის ხალხი დღესაც დიდ სატანჯველშია ჩავარდილი. მონასტრირის ვილაეტის მცხოვრებთა მწუხარება კალმით არ აიწერება. მათში გახიზნულმა ხალხმა შიმშილსა და სიცივეს ვეღარ გაუძლო და ნელ-ნელა ისევ ბარში ჩამოვიდა, რადგან სოფლები სულ ოსმალებმა დაანგრიეს, უსახლკარო ხალხი ქალაქებს ეტანება. გაჭირვებული მაკელონელები მოწყალებას არას ღროს არა თხოულობენ და უპხეველებს არაფერზე არ აწუხებენ. ამიტომ გარეშე მაყურებელი ვერც კი იგებს, თუ რა საშინელ ყოფასა და გაჭირვებაშია ჩავარდილი აქაური ხალხით.

*
ინგლისის პირველ მისტრის ლონდონის ლორდ მერის ნადიმზე მომეტებულ ნაწილიად საგარეო პოლი-



ტიკაზე ელაპარაკნა. საშინაო საქმეებზე, თვით ისეთ „საჭიროობო“, დიდ საგანზე, როგორიცაა სატამოენო საქმე, თითქმის ხმაც არ ამოელო. ლიბერალურმა თუ კონსერვატიულმა პრესამ კრიტიკულის თვალით შექხედა პირველ-მინისტრის სიტყვას.

«მორნიგ პოსტ»-ი შეწნიშვნავს: „გილდ-პოლმში გამართულ ნაღიმის გამო, საზოგადოება ელოდა, რომ მთავრობის პოლიტიკას ცხადადა და მკაფიოდ აუხსნიდნენ, მაგრამ ბალფურმა არ ისარგებლა ამ შემთხვევით და ხალხს მთავრობის პოლიტიკა რიგზე არ გააგებინა: პირველ მინისტრმა არეული და ბუნდოვანი სიტყვა წარმოსთქვა». „სტანდარდ“-ი სწერს: „ბალფურმა სატამოენო საქმე არც კი გაახსენა: ეს, ალბალ, მეტად ბრძნული პოლიტიკა. ჩვენი უმთავრესი პოლიტიკური პარტია თავისმავე წინამდლოლებმა მეტად უხერხულ ყოფაში ჩააგდეს. მთელ ჩვენ ხალხს ეხლა მარტოდ-მარტო ერთი საგანი (სატამოენო საქმე) აინტერესებს და პირველი მინისტრი ვერც კი ჰქონდა, რომ ამ საგანს შეეხოს“. „დეილი ნიუს“-იც ამბავე ამბობს და ბოლოს უმატებს: „თუ პირველს მინისტრს ნამდვილად გულით სწადიან, რომ მშვიდობიანობასა და საერთაშორისო კეთილ ურთიერთობას სარგებლობა მოუტანოს, თავდაპირველად ჩემბერლენი უნდა დამშვიდოს და დიდ სატამოენო ომზე ხელი ააღდინოს. კოლონიების მინისტრად ნამყოფის პროექტი სულ არ შეჰვერის არც ჩვენის დროის აზრებს, არც საერთაშორისო მშვიდობიანობას!“

**

„საეკლესიო მოაშშე“ ამტკიცებს, რომ საჭიროა სასულიერო სკოლებში განცალკევებულ იქნას სპეციალური სამღვთის-მეტყველო კურსი საზოგადო განათლების კურსისაგან.

სასულიერო სკოლას რომ აზრად აქვს თავის შეგირდებს საზოგადო განათლებაც მისცეს და სპეციალური—ღვთის მეტყველურიც, ეგ სრულიად კანონიერი და ბუნებრივი სურვილია და ამის წინა-აღმდეგი არავინ იქნება. სამღვდელოებას, როგორც წოდებას, რომელიც დიდს სამსახურს უწევს სახელმწიფოს, უფლება აქვს /აღზარდოს თავისი შვილები და ჰმართოს საკუთარი სკოლები, როგორც ყველა სხვა წოდებასაც აქვს უფლება. მეორეს მხრივ, ეკლესიასაც უნდა ჰქონდეს სკოლები, სადაც უნდა ემზადებოდნენ მომავალნი მისნი მწყემსნი. გარნა

ეკლესია სამღვდელოება არ არის და არც ერთი და იგივე მათი ინტერესები. მწყემსთა აღზრდა ისეთი საქმეა, რომ არ შეიძლება ყველა წოდებისათვის, მთელის ერისათვის არ იყოს საინტერესო. აგრედვე მწყემსად ყოფნისათვის მოწოდებულნი არიან ყველანი და არა მარტო სამღვდელოების შეიღლინი. მაშასადამე, არ შეიძლება, ეს საზოგადო საქმე, დაუკავშიროთ დაგანვებ მოვახვიოთ თავზედ წმინდა წოდებრივს დაწესებულებას და ახალს ღვინოს ძველს თხიერში გასხამდეთ. ამით იზარალებს წოდებაცა და ეკლესიაც, უფრო-კი ეკლესია, რაღაც სკოლას გამგე და ხელმძღვანელი მაინც ეს წოდება იქნება.

გაზიერის აზრით, სულ ცალკე უნდა იქსებოდეს სკოლა საღვთის-მეტყველო და სულ ცალკე—სკოლა საზოგადო განათლებისა.

აზალი აშშები და შერი შენება.

„მისი ბრწყინვალება, 5 ნოემბერს, საღამოთი, ბაღში ხანგრძლივ სეირნობის შემდევ, უქეიფოთ შეიქნა და ღამე მოუსვენრად გაატარა. 6 ნოემბერს ყელი ასტკივდა, და სიცხემ უმატა; კეთაზე ჭრილობა დაუსივდა. 7 ნოემბერს, დილით, ჭრილობის ირგვლივ თავის კანის ანთება აღმოჩნდა, სიცხე 39,9° ჰქონდა. საღამოს სიცხე 40,3°-მდე ავიდა და თვითგრძნობიერება ცუდი ჰქონდა. 8 ნოემბერს, დილით, აღმოჩნდა, რომ თავის კანისა და სახის ანთება გაუმნელდა. დილით სიცხე 40,1° ჰქონდა, დღისით—40,4°, საღამოთი ოფლი მისცა და სიცხემ უკლო, 39,7° ჰქონდა. მაჯა წუთში 100-ჯერ უცემს. ჭრილობა თანდათან წინანდელ ნორმალურ სახეს იღებს“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

** კავკასიის მთავარ-მარტებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „ღამე მის ბრწყინვალებას საქმაოდ ეძინა. ტემპერატურა დილით 38,8; საღამოთი 39,5. მაჯა 86. უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში ინთებას ცვლილება არ დასტურდია. თვითგრძნობიერება ცოტათი უმჯობესი აქვს“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდოვსკი. რუდენკო, გოდომსკი. 10 ნოემბერი.



ბიულეტენი 9 ნოემბრისა: „მის ბრწყინვალების ავადმყოფობის მდგრადი დღის განმავლობაში შესაძლებელია არ შეცვლილია. სიცხვე დილით ჰქონდა 39,5, საღამოთი 39,6; მაჯა—90. თავის კანისა და სახის ანთება სუსტად ვრცელდება“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდინვსკი, რუდენკო გოდომსკი.

* * * „კავკაზ“-ის ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია: „რაღან სენატორი, გენერალ-აღიუ-ტანტი თავადი გოლიცინი ავად არის, ამიტომ, მე, კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის დებულების მე-31 მუხლის ძალით, შეუდებელი კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღსრულებას, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწევე გენერალ-ლეიტენანტი ფრეხე“

* * * საქართველოს საექსარხოს საოლქო მე-თვალყურე დეკ. ი. ვოსტორგოვი წავიდა ქ. ბათომს, სასულიერო მთავრობის მინდობილობით, რათა აღგილობრივ შეჯრიბოს ცნობანი სამღვდელ-მთავრო კათედრის ქ. ფოთიდამ ბათომში გადატანის შესახებ.

* * * 20 ნოემბრს პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია განიხილავს საკითხს კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ. კომისია განიხილავს ორსავე მიმართულებას: ავჭალიდან თიონეთზე და ნავთლუ-ხიდან გარედ-კახეთზე.

* * * შესდგა კომისია ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმიტორზევის თავმჯდომარეობით ელისევევისა და ფრეზეს პროექტის განსახილველად შევის ზღვის პირად საავტომობილო მოძრაობის შესახებ. 31 ოქტომბერს ამ კომისიის მეორე და უკანასკენელი კრება ჰქონდა. კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა სააქციურ საზოგადოების დაარსება, მხოლოდ საობლი-გაცრი თანხა 5 მილ. 2 მილიონ მანეთად შეამცირა. ამ დღეებში კომისიის დაღვენილებანი მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა.

* * * იბეჭდება და ამ ცოტა ხანში გასასყიდად დარიგდება „ქართ. შ. შერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ახალი გამოცემა დიდი კედლის კალენდარი.

* * * «კავკ.“-ში ვკითხულობთ: მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის გენერალ-მაიორის ვ. ი. ტროფიმოვის თავმჯდომარეობით დაიწყო მუშაობა განსაკუთრებულმა კომისიამ. განზრახულია რეფორმა სასოფლო მთავარ-გამგეობებისა და სასამა-

რთლოისა ტფილისისა, ქუთაისისა, განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიაში. ამ რეფორმის პროექტის შედგენა მიენდო ზემოხსენებულ კომისიას. კომისიის წევრებად მიიწვიეს: მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ვ. გ. უსტრუგოვი, მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-გუბერნატორი ნ. ნ. მაქსიმოვი, ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავ. ა. მ. ნაკაშიძე, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ვ. ვ. ალიშევსკი, ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ე. გ. ვეინდებაუმი, განჯის სასოფლო საკრებულოს წევრი კ. ვ. კლეშჩინსკი, მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი კ. ი. სლოვინსკი, ნუხის მაზრის უფროსი დ. ვ. ასანიძე და ახალციხის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ა. ფ. ყიფშიძე.

* * * კავკავიდან უკვე ჩამოვიდა ქართული ენის ცენზორად ახლად დანიშნული ბ-ნი პართენ გოთუა და გუშინ წინ კიდევ შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

* * * ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგებისაგან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს ბრძანება მოუვიდა, რომ 1904 წლიდან სატელეფონო სადვურებზე ყველგან ქალები დაინიშნენ.

* * * ოდესის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე პუბლიცისტ ვ. მ. დოროშევიჩისა და სახალინის დუისკის საპყრობილის ა. ფელღმანისა. ფელღმანი ბრალსა სდებდა დოროშევიჩს, პეტლიათი სიტყვის საშვალებით ცილი დამწამაო. დოროშევიჩს „ოდესკი ლისტოკი“-ში დაბეჭდილი ჰქონია წერილები სათაურით „სახალინი“, რომელშიაც აწერილი ყოფილა სახალინზე გადასახლებულთა ცხოვრება. წერილებში დოროშევიჩი, სხვათა შორის, მკაცრად იხსენიებს საპყრობილის მოსამსახურეთა გულქვან-ბასა და უპატიოსნო სამსახურს. ლუისკის საპყრობილის უფროსს ფელღმანს ამ წერილებში თავისი თავი უცვნია და უჩივლია დოროშევიჩისათვის ოდესის ოლქის სასამართლოში. მაგრამ ოლქის სასამართლოს დოროშევიჩი დამნაშავედ არ უცვნია. ფელღმანს ოლქის სასამართლოს განახენი განუსა-ჩივრებია სამოსამართლო პალატაში. პალატას დაუმტკიცებია ოლქის სასამართლოს განახენი.

* * * 15 ნოემბრს შორიპნის რკინის გზის სადგურზე, დილის 6 საათზე, როცა ფოტო გადაქონდათ ჭიათურის გზის ვაგონში პათუმიდან მოსული, შვილი

შეიარაღებული კაცები და ყურენ, დასჭრეს ტყვიით ფორტალიონი და ერთი უანდარმი, რომელიც ფოსტას მიყვებოდა. ერთ მათგანს უანდარმა მოახვდერა ტყვია და დასჭრა. დაჭრილი მოიტაცეს და გაიქცნენ ლომსიათხევისკენ. შორაპნის მაზრის უმფროსის განკარგულებით დაედევნენ სტრაჟნიკები, რომელიც მიეწიენ კინოთის სოფლის ახლო ტყე. ში. აქ შეიქმნა ოოფების სროლა ორივე მხრით. ერთი დაჭრილი და ორიც დაჭრილი უკვე მოყვანეს ყვირილაში, დანარჩენებს მისდევენ და ჯერეთ არა ისმის რა. ფულები ვერ წაიღეს.

* * 16 ნოემბერს კურთხეს სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების თან დასწრებით ყვირილაში კერძო ქალების პროგემნაზია, რომელიც გახსნა კნიაქნა ვ. ფალავას ასულმა. კურთხევაზე ხალხი ბევრი დაესწრო. სწავლის მსურველები ბევრიც.

* * ჩვენ მივიღეთ დოქტორი ბ. ს. ოოფურიას საავათმყოფოის ანგარიში. ეს ანგარიში მეტის მეტად საინტერესოა; ამისთვის ჩვენ დაწვლილებით მოვიყვანთ ამ ანგარიშს ცნობებს შემდეგ ნომრებში.

* * ჩვენ დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი ყოვალად სამღვდელო ალექსანდრე სამსახურს თაქს ანებებს.

* * სამეგრელოის ეპარქიის მღვდელთ-მთავრად ინიშნება ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, ალავრდის ეპისკოპოსი.

* * დეკანზი ესტატე ელიევი პეტერბურ-ლში გაემგზავრა.

* * გაზ. „კავკ.“-ის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია სავალდებულო დადგენილებანი ალექს: ნიკოლოპოლისა და ყარსისათვის. ეს დადგენილებანი შეეხებიან იარალის ტარების აკრძალვას.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში დღემდის საღამოთი სამუშაოში მეტს ფასს აძლევდნენ. ეხლა გადაუწყვეტიათ, თუ რომელმამე მოხელემ დილის სამუშაო ვერ მოასწრო, მოვალეა საღამოთ დაასრულოს.

ს, სელმძღვანელო, საცურადლებო,
საჭირო და სასარგებლო ცნობათა
განვითარება.

სამზო პითხევაბის განვარტება

კით. შეიძლება თუ არა ბავშვს ვუწოდოთ „თამარა“ და როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მონათლულის მშობლები გვთხოვენ ბავშვს მივსცეთ სახელი „ვლადისლავი“, იმ წმინდანის მოსახლეობლად, რომელიც 24 სეკტემბერს არის ნაჩვენები ეამნში.

მაგ. პირველიცა და მეორე სახელიც მოხსენებულია წმინდანების რიცხვში ვრცელ საეკლესიო კალენდარში; პირველი იხსენება მენელაცებლეთა კვირიაკეში, მეორე-კი ოც-და-ოთხ სექტემბერს; ამისთანავე ნაჩვენებია, რომ სხეული წმ. ვლადისლავისა განისვენებს სერბიაში დ. მიღებოვში. ამისათვის ორივე სახელი შეგვიძლია უწოდოთ ნათვლის დროს დაუბრკოლებლად.

კით. შეუძლიან თუ არა სამღვდელო პირთ ატარონ მდიდრული ტანისამოსი, განსაკუთრებით მხიარული ფერისა, ეგრეთვე სურნელების ხმარება და სხურება?

მაგ. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიქონიებთ სახეში კერძო პირებს, მაშინ, რასაკვირველია, გადაწყვეტილ პასუხს ვერ მივცემთ: ერთს ძონები აცვია, და ამისათვის ისჯება; მეორე ატარებს ხავერდსა და აბრეშუმებს, და ყველაზე უფრო დაახლოვებულია ღმერთთან (იხ. 12 კ. განგრ. კრებ.). და თუ-კი კითხვას საზოგადოდ დავაყენებთ, იმ აზრით, თუ როგორი ტანისამოსი უფრო ეკადრება სამღვდელო ხარისხს — საეკლესიო კანონდებულებაში პირდაპირ იკრძალულია მდიდრული ტანისამოსის ტარება. მეთექვსმეტე კანონი მეშვიდე მსოფლიო კრებისა ამბობს: ყოველივე მდიდრული შემკობა სხეულისა განშორებული უნდა იყოს სამღვდელო ხარისხზედ. ამისათვის ეპისკოპოსნი, ანუ კრებულნი, რომელიც მდიდრული და მხიარუ-



ლი ტანისამოსით იმკობიან, სხვანაირად მოიქცნენ. თუ იმაშვე დარჩებიან, ეპიტომია დაედოთ.

შეწირულებანი.

გთ. ცოლმა დასტოვა ქმარი და ერთი შლისა და ერთი თვის შემდეგ სხვასთან შობა შვილი. როგორ უნდა ჩაიწეროს მეტრიკაში ეს ბავშვი, თუ დედა თხოვილობს კანონიერად ჩაწერას და ქმარი მისი აცხადებს, რომ ამ ბავშვის კანონიერად არ სთვლის, და თუ ამა დროს ცოლი თავის უკანონო ცხოვრებას არ იშლის?

მიგ. უწმინდესის სინალის დადგენილების კანონის ძალით 14 ოქტომბრიდან — 8 ნოემბ. 1888 წ.

ცირკ. უქაზ. 20 მაისიდან 1903 წ. № 8, ეს ბავშვი უნდა ჩაიწეროს ამ ქალისა და მისი ქმრის სახელზე. უკანასკნელის, 1348 მუხლის სამო. წესდების (ტომი XVI ნაწ. I), კანონის ძალით შეუძლიან უარყოს ამ ბავშვის კანონიერად დასადება, რაიც საერო უწყებას ეკუთვნის.

გთ. ქალაქის სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფეთაგანი, უკვე მედავითნედ დანიშნული, განთავისუფლება თუ არა სამხედრო ბეგრის მოვალეობისაგან.

მიგ. სამხედრო ბეგრის მოვალეობისაგან კანონით განთავისუფლდებიან მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის, სემინარის და აკადემიის უკრს დამთავრებულნი, თუ თანამდებობაზე არიან დანიშნულნი. აღილის მისაღებლად ერთი შლის ვადა ეძლევათ მათ და თუ აღილი ვერ იშოვეს მერე ვალდებული არიან კენჭი ამოიღონ.

გთ. შეუძლია თუ არა მაზრის სამოსწავლებლო განყოფილებას თვითონ გააკეთებინოს სკოლის საჭირო ნივთები იმ ფულებით, რომელიც დასახმარებლად ეძლევა. სკოლებს ყოველ წლობით? სკოლის გამგებლებმა ამ შემთხვევაში ფულის მიღებაზე უნდა მოაწერონ ხელი თუ ნივთების მიღებაზედ?

მიგ. რასაკვირველია, თუ განყოფილებამ თავის განკარგულებით გასცა საკლასო ნივთები გასაკეთებლად და მზა ნივთებს გასცემს სკოლის გამგეთ მათაც ხელი უნდა მოაწერონ ნივთების მიღებაზე და არა ფულის მიღებაზე. რადგან ნივთების რიგიანობაზე განყოფილება არის პასუხისმგებელი.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენი შატივ-ცემული შუალედის „მწევმისა“-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადთ ჩვენის და ჩვენი მრევლის მხრით ჩვენ სამრევლოთაგანს : ზ. ნეკროს, პეტრე და აქვსენტი კასტანტინეს ქეთ გვათუებს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულ ჩვენდამთ არმტატან აასთუმანის წ. თედორე ტირონის ეპისტოლის ერთი დიდი კურთხევანი, დარცბული რვა მან. და 50 კ. ერთი დიდი დოცვანი სამი მან. და ზედმიწერილის ხეცურის წ. გიორგის ეპისტოლის კიდევ ერთი დიდი კურთხევანი — 8 მან. და 50 კ. ერთი დიდი დოცვანი სამი მანეთის; სალომე გვათუს ასეულმა შემოსწირა ზედმიწერილ ხეცურის წ. გიორგის ეპისტოლის ერთი მარხვანი დარცბული 6 მან. ერთი კანდელი ეჭვის მანეთისა და ერთი ტილის გარდამოსნა 5 მან.; შამშე ზურაბის ქეყოდება შემოსწირა ხენებულ შტატის გმბლესის ერთი დევის-შემდგრადის სატი, დარცბული თხუთმეტ მანეთად და ერთი კანდელი ათი მანეთის.

აბასთუმნის წ. თეოდორე-ტირონის ეპისტოლის მღვდელი: ალექსანდრე კვარაცხელია და დიონოს კუტალია.

II.

მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის შატივ-ცემულის „მწევმისა“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადთ ჩვენისა და მრევლის მხრით მცხოვრებთ სოფ. ვაჭევშიდისებ გლახეუს ქე და სვამეთ პატარა ქეს ცერცვაქებთ, რომელთაც რწმუნებულ ჩემდამთ ვაჭევის წმ. გიორგის გმბლესის შემოსწირეს: პირველმა საეპლესიდ სატები დარცბული თოხას არმტატა-ათ მანეთად ხოლო მეორემ თორმეტი საუფლო სატი ფისად ათი მანეთისა. ფარავის წ. გიორგის ეპისტოლის მღვდელი სპირიდონ ბრევეაძე.

ვაჭევის წ. გიორგის ეპისტოლის სპირიდონ ბრევეაძე.



● ი ს ე რ დ ე ბ ი ა ნ ●

დეპარტამენტი დამატებით დამატებით საგან უძღვილო და გამოცხადული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამარტიულებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, უვირილაში— «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში.

1. საექლესიო და დეკონის-მსასურების წიგნები.

1. ლ ლ ც ა ნ ი ნ ა რ ი ნ ი რ , გამოცემა
მესამე. მართლ-მაღიდებელი კულ. უმთავ-
რები დღესასწაულების ისტორიული მოთ-
ხობით. ამ ლოცვანში არის მთელი
წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარა-
კლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვის სრულს
თვეობა მეტყველებაში არან ჩართული
საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული
მოთხოვით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.
ყდით 40 კ. და უყდოთ . . . 30 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და კრელი პა-
ნაშეიდისა, ფასი . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსა-
ხენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20 —
4. ძონუაკი ითანე ოქროპირის წირვისა უყ-
დოთ 30 კ. კარგი ყდით . . . 50 კ.
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და
თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-
კონდაკებით ფ. . . . 5 კ.

2. სასაწმლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე,
რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებუ-
ლია როგორც სასწავლო საღმრთო სჯუ-
ლისა საექლესიო-სამრევლო და სხვა
პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავ-
ლებაზე რუსულს და ქართულს ენაზე ხმის
ამაღლების ნიშნებით ყდით ფასი . . . 55 კ.
3. დაწყებითი გაკვეთოლები საღმრთო სჯუ-
ლის სწავლებაზე, ფასი 15 —
4. სხალი სასულიერო კონსისტორიათა წეს-
დებულება—ფასი 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების

დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—
ფასი ყდით 20 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება კან-
ორთელობის დაცვაზე.

1. პხალა კარაბაღინი, მეორე გამოცემა და-
მატებით, რომელიც განხილული, მოწო-
ნებული და ნება-დართულია კავკასიის
საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი 1 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და ოვა-
ლების მოვლაზე, ფასი 10 —
3. ჯანმრთელობის და ავადმყოფობა ექიმის
საუბარი 5 კ.
4. შესანიშნავი მონასტრები და ეპკლესიები
და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხო-
ვრების აღწერილობანი,
1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.
განმანათლებელი, ფასი. 15 კ.
2. ბელათის მონასტრები და ცხოვრების აღ-
წერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
იგივე რუსულ ენაზე 20 კ.
3. შიო მღვიმის მონასტრები და ცხოვრების
აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ
4. მთავარ-მოწ. დავით და კრისტიანი
და მოწამეთის მონასტრი. —ფასი . . 5 კ.
5. იგივე რუსულ ენაზე 10 კ.
6. ვარძის მონასტრები, ფასი 5 კ.
7. მარტვილის მონასტრები 2 კ.
5. საუფლო და დეკონის-მშობლის დღესასწავლების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.
1. დეკონის-მშობლის დაბადება, სურათით . . 2 —
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2 —
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხაველს-მყო-
ფელისა ჯვარისა, სურათით 2 —
4. შობა უფლისა 2 კ.
5. მირჩა უფლისა, სურათით.—ფასი . . 2 —
6. ხარება პოვლად შიდა ღვთის-მშობლისა 2 —
7. ბზობა სურათით—ფასი 2 —
8. აღდგომა სურათით—ფასი 2 —
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2 —
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია 3 კ.



6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს კუკლებისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. მოძამი მოწამე რაფენი, სურათით, ფასი .	5 კ.
2. წმ. ნინო ქართველობის განმანათლებელი .	2 —
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი .	5 —
4. თამარ მეფე, სურათით .	5 —
5. გიორგი მთაწმიდელი .	10 —
6. იოანნე ზელაზნელი .	5 —
7. შუშანიკი .	3 —
8. ქედევან დედოფალი .	2 —
9. ახილ და ლუარსაბი .	5 —

7. ოქლიგიური და ზენეტორი შინასის
წიგნები და საუბრები:

1. ფაიდანი მღვდელ-მთავარი: ბასილი დიჭი, გრიგორი ლვითის-მეტყველი და იოანეს მართლისი, სურათებით — ფასი .	5 —
2. როგორ უნდა ემარხეულობდეთ — ფასი .	3 —
3. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკავისა, ფასი .	5 —
5. სიკვდილი მართლისა, პონტოელი კილა-ტეს მეუღლის შერილი .	5 —
6 ხმა მოძღვრისა სამწყხოსადმი. საუბრების შესწავლა ისეთ ქრისტიანი .	3 —
7 შეილების ჟოვალეობა მშობელთაღმი .	3 —
8 მშობლების მოვალეობა შეილთაღმი .	3 —
9 ვინ არიან ჩეინი ცხოვერების მტერნი და როგორ უნდა ეძღვოთ მათ .	3 —
10 იუნჯებდათ საუნჯესა ცათაშანა .	3 —
11 საუბრი ღვთის სიტყვაზე .	3 —
12 — შრომაზე .	3 —
13. სამგვარი სიკვდილი .	5 »

8. მოთხოვთ დაბადებიდან.

1. მევე სოლომონ-ბრძნი სურათით — ფ.	5 —
2. მათერი (მოთხოვთა დაბადებიდან) სურ .	5 —
3. სიბრძნე ისო ძისა ზირაქესა, სურათით .	5 —
4. იოსები .	5 —
5. მრავალ წამებული იობი .	5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгий ноября 14 1903 г.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (И. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.

ხატები და მხატვრობანი.

იმექანებიან პატარა აუტომანი-ხატები ფიკარზე სამ-ოთხ გრაზანი ფასი 5—10 კ. ხატები არიან მაცხოვრის, ცეკვის ლეთ-ს-მშობლია, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ თკისა, იმათ ჩვენს საქართლო-ში უველვან ფოსტის გასავაზენი არა გარდახდება, ამასთან იმექანება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაუით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მავარ-მოწამენი დავით და კანსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. მავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველი განმარტობისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თოთოი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმცისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლები ცალისა, ის უოსტით გასავაზენს არ იხდის.

იმექანება აგრეთვე მრავალი პატარა გულაბი-და ხატები ფერგადულები ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასე დაიბარებს ნალ ფულზე, მას გავაზნით დაეთმობ. სამ მარ. ესეთი იმექანებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერთო მოღვაწეთა .

1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
2. აკაკი წერეთელი 25 კ.
3. თამარ შეფე 25 კ.

იმექანება აგრეთვე შესვალ-გასავალის წიგნები და უკველვაზი მოწმ. ბლანკები და მოწყრილობანი.

ვ ი ნ ა კ რ ს ი ბ ი :

სალიტერატურო განცოცილება: მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა. — სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, ერთი დეპუტატთა განისა. — მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა, (თარგ.) 5. ხ. — კ. — სასამართლოს მატიანი. — ჭლექის წამალი. — მომეტადმი, (ლექსი) როსტომ — გუდასი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — უზრნალ-გაზეთებიდან. — საეჭვო კიონვების განმარტება. — ვანცხადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Георгий ноябрь 14 1903 г.